საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 55 28/10/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ 2021 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელად წარსადგენი პროექტების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2021 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და მაღალმთიანი დასახლებებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებებლი პროექტები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) სოფელ წითელხევის შემოვლითი გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
ბ) ქ. ბაღდათში აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია;
გ) სოფელ ზედა დიმში კვირიკაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
დ) სოფელ დიმში ე.წ. ატეკის საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
ე) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ღვინის მარნიდან ე.წ. თავხელიძეების ბოგირამდე ს/გზის რეაბილიტაცია;
ვ) სოფელ დიმი-ჯ. ღვინჯილიას სახელობის საჯარო სკოლა-სოფ. პირველი ობჩის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობა;
ზ) ქ. ბაღდათში თამარ მეფის ქუჩის რეაბილიტაცია;
თ) ქ. ბაღდათში ბაგრატიონის ქუჩის რეაბილიტაცია;
ი) ქ. ბაღდათში ფოცხვერაშვილის ქუჩის რეაბილიტაცია;
კ) ქ. ბაღდათში მერაბ კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია;
ლ) ქ. ბაღდათში 9 აპრილის ქუჩის რეაბილიტაცია;

მ) ქ. ბაღდათში დავით აღმაშენებლის ქუჩის პირველი შესახვევის სარეგილიტაციო სამუშაოები;
ნ) სოფელ დიმში თავხელიძეების და მინაძეების საუბნო გზის რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
ო) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში ე. წ. შათირიშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია;
პ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ე. წ. ენდელაძეების შემოვლითი საუბნო გზის რეაბილიტაცია;
ჟ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში ე.წ. ზივზივაძე-შველიძეების ს/ გზის რეაბილიტაცია;
რ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში ე.წ. კოხოძე-შალამბერიძეების ს/გზის რეაბილიტაცია;
ს) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ე.წ. თავხელიძეების ბოგირიდან პირველი საჯარო სკოლისკენ მიმავალი ს/გზის რეაბილიტაცია;
ტ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში ე.წ. ბუიძე-კვირიკაშვილების ს/გზის რეაბილიტაცია;
უ) სოფელ ზედა დიმში მდ. ხანისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა;
ფ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში მდ. კორისწყალზე ჩანგრეული ხიდის (#1) აღდგენა;
ქ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში მდ. კორისწყალზე ამორტიზებული ხიდის (#2) აღდგენა;
ღ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია;
ყ) ქ. ბაღდათში რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრის შენობის ფასადის კედლის ნაწილის რეაბილიტაცია;
შ) სოფელ დიმში ყოფილი კულტურის სახლის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
ჩ) სოფელ დიმში ყოფილი ამბულატორიის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია;
ც) სოფელ დიმში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია;
ძ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანში გზების და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია;
წ) ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის სოფ. ზეკართან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია;

2. ნება დაერთოს ბაღდათის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2021 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. #11, ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე